პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №

____2022წ. **ქ. თბილისი**

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 15/03/2019, სარეგისტრაციო კოდი: 330090020.35.101.016587) და დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკა (ფუნქციური ზონები) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათი

ა) პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი/ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებულ მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში ცვლილება შედის შემდეგ საკითხზე:

ა) ქალაქ თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N135ა; N133-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.02.003.409) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს სამედიცინო ცენტრისთვის „ციტო" ახალი სათაო ოფისის - ცენტრალური ლაბორატორიის მშენებლობა წარმოადგენს.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად სპეციალური ზონა 1-ისათვის (სპეცზ-1) სამედიცინო ინფრასტრუქტურის მომსახურების ობიექტები სამშენებლოდ განვითარების დასაშვებ სახეობას წარმოადგენს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 4 აგვისტოს N0122216871 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N135ა; N133-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.02.003.409) ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, სოფელი ფონიჭალა, ქუჩა ცოტნე დადიანი, N6-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.05.02.724) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N72.13.36.408) ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) და სამრეწველო ზონა 2 (ს-2).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1) და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრულია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენა.

ტერიტორია წარმოადგნს ნავთობსაცავს, იგი ემსახურება ნავთობპროუქტების დისტრიბუციას, ასევე ნაკვეთზე განთვსებულია მოქმედი ბენზინგასამართ სადგური, რომელიც 1994 წლიდან ფუნქციონირებს. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს საპროექტო ტერიტორიის ამავე მიმართულებით განვითარება და საპრეოქტო არეალის კეთილმოწყობა წარმოადგენს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 4 აგვისტოს N0122216821 წერილის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასზე არსებული სახით სრულად იქნება შენარჩუნებული მწვანე ნარგავები.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო N81.05.02.724 საკადასტრო ერთეულის ჩრდილოეთით დაურეგისტრირებელ ტერიოტრიაზე ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N81.05.02.724 საკადასტრო ერთეულის ჩრდილოეთით დაურეგისტრირებელ ტერიოტრიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისიწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელი ფონიჭალა, ქუჩა ცოტნე დადიანი, N6-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.05.02.724) ნაწილზე და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა, მისაღებია **არსებული ნარგავების სრულად შენარჩუნების პირობით;**

გ) ქალაქ თბილისში, სოფელი წავკისი, 9 ძმა ხერხეულიძის III შესახვევი, N 22-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.02.12.725) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N81.02.12.725) ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2022 წლის 10 აგვისტოს N01222221077 წერილის მიხედვით, განსახილველი მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება მონაკვეთზე, რომელსაც ფაქტობრივი მდგომარეობით არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია და არც სამომავლოდ აღნიშნული ფუნქციით განვითარების პერსპექტივა. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური აღნიშნული ფუნქციური ზონის ცვლილების, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმების წინააღმდეგი არ არის. გარდა ამისა, სატრანსპორტო ქვეზონის ერთიანი კონფიგურაციის შენარჩუნების მიზნით, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) კორექტირებას.

შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N81.02.12.725 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირება. კერძოდ, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელი წავკისი, 9 ძმა ხერხეულიძის III შესახვევი, N22-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.02.12.725) ნაწილზე და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია;

დ) ქალაქ თბილისში, სოფელი გლდანი, ექიმების ქუჩა N12-12ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.13.41.926) მოთხოვნილია ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენის მოხსნა.

საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N72.13.41.926) ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრულია ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 10 აგვისტოს N01222222800 წერილის მიხედვით, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: N72.13.41.926) სამხრეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N72.13.41.926 საკადასტრო ერთეულის სამხრეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება, გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენის მოხსნა და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის გავრცელება.

ზემოაღნიშნულისა და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთზე გაცემულია მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები და შემდგომში, მშენებლობის ნებართვა სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) რეგლამენტის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, სოფელი გლდანი, ექიმების ქუჩა N12-12ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.13.41.926) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენის მოხსნა და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის გავრცელება მისაღებია;

ე) ქალაქ თბილისში, ქუჩა მუსხელიშვილი, ნაკვეთი 01/044; ქალაქი თბილისი, დავით კვაჭანტირაძის ქუჩა, N8-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.10.001.044; N01.17.10.001.048) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ითა (რზ-2) და საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილება, N01.17.10.001.044; N01.17.10.001.048 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე ,,დედაქალაქის

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული ზონირების დაბრუნებას გულისხმობს.

N01.17.10.001.044 საკადასტრო ერთეულზე ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრულია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენა.

N01.17.10.001.048 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ძირითად ნაწილზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1), მცირედ ნაწილზე - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრულია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 12 აგვისტოს N01222241993 წერილის მიხედვით, ვინაიდან, N01.17.10.001.044 და N01.17.10.001.048 საკადასტრო ერთეულებზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებს“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილების მიხედვით, ვრცელდებოდა შესაბამისად სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), სამსახური თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) N01.17.10.001.115 საკადასტრო ერთეულის მცირედ ნაწილსა და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.17.10.001.115 საკადასტრო ერთეულის მცირედ ნაწილსა და N01.17.10.001.048 საკადასტრო ერთეულის სამხრეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება, ხოლო N01.17.10.001.044 საკადასტრო ერთეულის სამხრეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1)

სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება. აღნიშნული ცვლილება ხორციელდება ასევე გამწვანებული ტერიტორიების რუკაზეც.

ზემოაღნიშნულის გათვალისიწინებით, ქალაქ თბილისში, ქუჩა მუსხელიშვილი, ნაკვეთი 01/044; ქალაქი თბილისი, დავით კვაჭანტირაძის ქუჩა, N8-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.10.001.044; N01.17.10.001.048) და მიმდებარედ, N01.17.10.001.115 საკადასტრო ერთეულის მცირედ ნაწილსა და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ითა (რზ-2) და საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა მისაღებია;

ვ) ქალაქ თბილისში, ჭოლა ლომთათიძის ქუჩა, N 7ბ -ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.11.037.022) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) ზოგადი საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.12.11.037.022) ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა (სზ) და მცირედ ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1), მცირედ ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ).

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე ტერიტორია ჩამოყალიბებული და განვითარებულია საცხოვრებელი ზონის (სზ) ფარგლებში და შესაბამისად, მოთხოვნილი სახით ფუნქციუირ ზონის ცვლილებას არ გააჩნია ფრაგმენტული ხასიათი.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, N01.12.11.037.022 საკადასტრო ერთეულის სამხრეთით, დასავლეთითა და აღმოსავლეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სამრეწველო ზონა 1 (ს-1). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.12.11.037.022 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ჭოლა ლომთათიძის ქუჩა, N 7ბ -ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.11.037.022) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღებია;

ზ)ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი, N57-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.12.002.100, N01.18.12.002.099, N01.18.12.002.090) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე

მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირი - ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, რუსთავის გზატკეცილი N57-ის მიმდებარედ, არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.12.002.100) პრივატიზებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 18 აპრილის N0122108946 წერილის შესაბამისად სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი, N57-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.12.002.100, N01.18.12.002.099, N01.18.12.002.090) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა მისაღებია.

თ) ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, „ციხის უბანში'' მდებარე მიწის ნაკვეთის (საკდასტრო კოდი: N01.72.14.028.175) მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2022 წლის 17 აგვისტოს N0122229356 წერილის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) გავრცელებულია ფაქტობრივი ღობისა და შენობა-ნაგებობის ნაწილზე. შესაბამისად, განსახილველ მონაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ს (ტზ-ს) ფაქტობრივად არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია ან/და აღნიშნული ფუნქციით განვითარების პოტენციალი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური აღნიშნული ფუნქციური ზონის ცვლილების, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმების, წინააღმდეგი არ არის.

ამასთან, ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვისათვის, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, დაკორექტდეს არსებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და გავრცელდეს საპროექტო მიწის ნაკვეთის დასავლეთით, დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე არსებულ ფაქტობრივი გზის ნაწილზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.72.14.028.175 და N01.72.14.028.181 საკადასტრო ერთეულების მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, „ციხის უბანში'' მდებარე მიწის ნაკვეთის (საკდასტრო კოდი: N01.72.14.028.175) მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია;

ი) ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.81.01.149.001) ნაწილზე მოთხოვნილია სატყეო ზონისა და სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონისა და სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილებების ფარგლებში განიხილავს ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში არსებული N01.81.01.149.001 მიწის ნაკვეთის ნაწილის პრივატიზებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 17 აგვისტოს N0122229586 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონისა და სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ფენა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, N81.01.14.056 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე ხარვეზის სახით რჩება სატყეო ზონა. აღნიშნულ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ძირითად ნაწილზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3), შესაბამისად, ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N81.01.14.056 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

ასევე, N81.01.14.056 მიწის ნაკვეთის სამხრეთ-დასავლეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.81.01.149.001) ნაწილზე სატყეო ზონისა და სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონისა და სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ფენის მოხსნა და მიმდებარედ, N81.01.14.056 მიწის

ნაკვეთის ნაწილზე და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება, სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონისა და სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ფენის მოხსნა მისაღებია;

კ) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, გურამიშვილის ქუჩა N31-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.20.01.126.016) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2022 წლის 19 აგვისტოს N01222312211 წერილის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ფაქტობრივი ღობის ნაწილზე და არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, არსებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კონფიგურაცია დაკორექტდეს ფაქტობრივი ღობის კონტურის შესაბამისად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სამსახური აღნიშნული ფუნქციური ზონის ცვლილების, საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმების წინააღმდეგი არ არის.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, N01.20.01.126.016 საკადასტრო ერთეულის მცირედ ნაწილზე (ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილშ) ხარვეზის სახით რჩება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1). აღნიშნულ ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.20.01.126.016 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, გურამიშვილის ქუჩა N31-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.20.01.126.016) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია;

ლ) ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქუჩა N112-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.36.004.061) მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილებების ფარგლებში განიხილავს ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ჯავახეთის ქ. N112-ში არსებული მიწის ნაკვეთის N01.19.36.004.061 საზღვრების კორექტირებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 19 აგვისტოს N01222312040 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, დანართით წარმოდგენილ საპროექტო ტერიტორიაზე

განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის დასავლეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენა. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის დასავლეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქუჩა N112-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.36.004.061) მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა მისაღებია;

მ) ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, ლაშა-გიორგის ქუჩა N44-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.02.07.375) ნაწილზე მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

N81.02.07.375 საკადასტრო ერთეულის საპროექტო ნაწილზე ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) და საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება სატყეო ზონა და საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრულია სატყეო ზონის ფენა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 19 აგვისტოს N01222312062 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონის ფენა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, N81.02.07.375 საკადასტრო ერთეულის სამხრეთ დასავლეთით N81.02.23.023 საკადასტრო ერთეულის მცირედ ნაწილსა და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სატყეო ზონა. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N81.02.23.023 საკადასტრო ერთეულის მცირედ ნაწილსა და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-

1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, ლაშა-გიორგის ქუჩა N44-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.02.07.375) ნაწილზე და მიმდებარედ N81.02.23.023 საკადასტრო ერთეულის მცირედ ნაწილსა და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენის მოხსნა მისაღებია;

ნ) ქალაქ თბილისში, გრიგოლ ვოლსკის ქუჩა N23-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.012.168 და N01.18.01.002.320 -ის ნაწილი) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილებების ფარგლებში განიხილავს ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში არსებული მიწის ნაკვეთების N01.18.06.012.168 და N01.18.01.002.320 მიწის ნაკვეთის ნაწილის პრივატიზებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 22 აგვისტოს N01222342475 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონის ფენა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გრიგოლ ვოლსკის ქუჩა N23-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.012.168 და N01.18.01.002.320-ის ნაწილი) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენის მოხსნა მისაღებია;

ო) ქალაქ თბილისში, ჩარგალის ქუჩა N73-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.06.001.091) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, საპროექტო ტერიტორია შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი“-ს საკუთრებაა და მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს უნივერსიტეტისათვის სპორტული დარბაზის მშენებლობა წარმოადგენს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2022 წლის 16 აგვისტოს N01222282423 წერილის მიხედვით, მიწის ნაკვეთზე გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) წარმოადგენს მისასვლელ გზას საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით არსებული საკადასტრო ერთეულებისთვის (საკადასტრო კოდები: N01.12.06.001.071, N01.12.06.001.075). ამასთან, ვინაიდან, საპროექტო მონაკვეთზე

არსებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ქმნის სატრანსპორტო ქვეზონის ერთიან ქსელს, განსახილველ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სამომავლო განვითარების მიზნების გათვალისწინებით, სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, აღნიშნულ ფუნქციური ზონის ცვლილებას, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმებას მიზანშეწონილად არ მიიჩნევს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 19 აგვისტოს N01222312039 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით დაურეგისტრირებელი ტერიტორიის მცირედ ნაწილზე ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.12.06.001.091 საკადასტრო ერთეულის ჩრდილოეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ჩარგალის ქუჩა N73-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.06.001.091) ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა და N01.12.06.001.091 საკადასტრო ერთეულის ჩრდილოეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა მისაღებია;

პ) ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, გიორგი ბრწყინვალეს I ჩიხი, N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.055.206) მოთხოვნილია სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) პარამეტრებით სამშენებლოდ განვითარება წარმოადგენს.

ფაქტობრივი მდგომარეობის აღწერისა და ფრაგმენტული ხასიათის ცვლილებისგან თავის არიდების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მიმდებარე ტერიტორიაზეც, კერძოდ, N01.72.14.055.073, N01.72.14.020.459, N01.72.14.034.764 საკადასტრო ერთეულებზე, N01.72.14.034.763, N01.72.14.055.070, N01.72.14.034.461, N01.72.14.034.076 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ნაწილსა და

დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, გიორგი ბრწყინვალეს I ჩიხი, N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.055.206) და მიმდებარედ N01.72.14.055.073, N01.72.14.020.459, N01.72.14.034.764 საკადასტრო ერთეულებზე, N01.72.14.034.763, N01.72.14.055.070, N01.72.14.034.461, N01.72.14.034.076 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ნაწილსა და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია;

ჟ) ქალაქ თბილისში, ემირ ბურჯანაძის ქუჩა N121-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.33.019.184) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა.

,,ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 20000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.33.019.184) ააიპ „აუტიზმის კვლევისა და ხელისშეწყობის ფონდისთვის“ (ს/ნ: 405079640) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით აღნაგობის ფორმით გადაცემის თაობაზე'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2017 წლის 29 აგვისტოს N№61.01172415 ბრძანებით, საპროექტო მიწის ნაკვეთი ააიპ „აუტიზმის კვლევის და ხელშეწყობის ფონდს“ (ს/კ 405079640) გადაეცა აუტიზმის ეროვნული ცენტრის მშენებლობის მიზნით;

N01.19.33.019.184 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალოიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ დადგენილია მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ–1) პარამეტრებით (2018 წლის 28 დეკემბრის N4322977 ბრძანება), რის მიხედვითაც 2022 წლის 4 მაისის N5922099 ბრძანებით გაცემულია მშენებლობის ნებართვა სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის განთავსების მიზნით.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემთხვევაში, მოხდება ფონდსა და მერიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, აუტიზმის ეროვნული ცენტრის მშენებლობა.

ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 2 აგვისტოს N01222143085 წერილის შესაბამისად, სამსახური თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1(რზ-1).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ემირ ბურჯანაძის ქუჩა N121-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:N01.19.33.019.184) სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა მისაღებია;

რ) ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქუჩა N14-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.36.001.017) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება.

N01.19.36.001.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წამოადგენს ,,ვენდის'' რესტორნის, დრაივის, საპარკინგე სივრცის, დარბაზის, ტერასის, ტვირთის მიმღები სივრცის, აგრეგატებისთვის გამოყოფილი ფართის და სხვა ტექნიკური სივრცეების განთავსება, რომელიც საჭიროა ,,ვენდის'' რესტორნის ფუნქციონირებისთვის.

ტერიტორიის ქალაგეგმარებითად სწორად განვითარებისთვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებულია საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა(შეთანხმების წერილები (N16-0122196833, 15/07/2022; MIA 2 22 01967811, 18/07/2022). აღნიშნულის მიხედვით, სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, 2022 წლის 9 აგვისტოს N0122221423 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, აღნიშნული ფუნქციური ზონის ცვლილების, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმების წინააღმდეგი არ არის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქუჩა N14-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:N01.19.36.001.017) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება, საერთაშორისო ბრენდის, სწრაფი კვების ობიექტის განთავსების პირობით, მისაღებია;

ს) ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორი, გორკის ქუჩა N17-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი:N81.01.17.159, N81.01.05.496, N81.01.05.514) და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-იტ (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულ რეგისტრაციებს/კერძო საკუთრებებს ხარვეზის სახით კვეთს სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). შესაბამისად, სატრანსპორტო ზონას არ გააჩნია გზის ფუნქცია, ხოლო ტერიტორიის იმ ნაწილზე, სადაც ფაქტობრივად გზა გადის, რომლითაც მისასვლელად სარგებლობენ მიმდებარედ არსებული რეგისტრაციები გავრცელებულია საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 19 აგვისტოს N160122231540 წერილის შესაბამისად, ვინაიდან, მოთხოვილი ცვლილებით ხდება ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა, სამსახური აღნიშნული ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორი, გორკის ქუჩა N17-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი:N81.01.17.159, N81.01.05.496, N81.01.05.514) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელი ტერიტორიაზე მოთხოვნილი სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-იტ (ტზ-1) ცვლილება მისაღებია;

ტ) ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, ზაქარია ბაქრაძის ქუჩა N19-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:N81.01.17.080) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა

1-ისა და სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

N81.01.17.080 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე და მიმდებარე ტეროიტორიაზე ხარვეზის სახით გავრცელებულია სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ტერიტორიის იმ ნაწილზე, რომელზეც ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ფაქტობრივი მდგომარეობით არ წამოადგენს გზას, იგი კვეთს კერძო საკუთრებას, რომელზეც განთავსებულია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

სააგენტო ქალაქგეგმარებითად სწორი გადაწყვეტის მიღების მიზნით, ფუნქციური ზონის ცვლილებას განიხილავს მიმდებარე ტერიტორიაზეც.

დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა დამუშავებულია 1:10 000 მასშტაბში, შესაბამისი გააზრებითი და ტექნიკური სიზუსტით. ამდენად, მოცემული მასშტაბისათვის დამახასიათებელი ცდომილების ხარისხით გათვალისწინებული, დასაბუთებულ საფუძველზე შესრულებული კორექტირებები, რომლებიც არ იწვევს საბალანსო მაჩვენებელთა ცვლილებას (მეათედი ჰა-ს სიზუსტით) და გულისხმობს კომპენსირების პრინციპების დაცვას, არ განიხილება მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ცვლილებად.

ამასთან, N81.01.17.080 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე და მიმდებარე ტერიტორიაზე ,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 1 აგვისტოს N01222102503 წერილის მიხედვით, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონის ფენა, იმ შემთხვევაში, თუ მასზე სრულად იქნება შენარჩუნებული მწვანე ნარგავები არსებული სახით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 4 აგვისტოს N16-0122216343 წერილის მიხედვით, ვინაიდან, წარმოდგენილი ცვლილებით სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) კორექტირდება ფაქტობრივი გზის კონტურის შესაბამისად, რითაც ხდება ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური აღნიშნული ფუნქციური ზონის ცვლილების, წარმოდგენილი კონფიგურაციით სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირების წინააღმდეგი არ არის.

წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, ზაქარია ბაქრაძის ქუჩა N19-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.01.17.080; 81.01.17.174, 81.01.05.584,

81.01.17.199, 81.01.05.834, 81.01.17.214, 81.01.05.576, 81.01.05.832) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ისა და სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია.

უ) ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა N2-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:N01.19.23.021.108) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო ერთიანი სახით განვითარების მიზნით ფუნქციური ზონის ცვლილებას/გამწვანებული ტერიტორიების რუკის ფენის მოხსნა მოხსნას განიხილავს არეალზე, მომიჯნავე ტერიტორიასთან ერთად.

ქალაქ თბილისის მუნიხიპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 2022 წლის 17 აგვისტოს N18-0122229603 წერილის მიხედვით, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა N2-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:N01.19.23.021.108; N01.19.23.021.104, N01.19.23.021.109, N01.19.23.021.111, N01.19.23.021.110, N01.19.23.021.123 N01.19.23.021.100, N01.19.23.021.106, N01.19.23.021.105, N01.19.23.021.103 N01.19.23.021.102, N01.19.23.021.119, N01.19.23.021.101, N01.19.23.021.107; N01.19.23.021.121, N01.19.23.021.120, N01.19.23.021.122 და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილი) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) ფენის მოხსნა მისაღებია;

ფ) ქალაქ თბილისში, ალექსეევკას დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.24.014.007) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 15 ივლისის N01221962910 წერილის შესაბამისად, სამსახური თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

ხოლო, რაც შეეხება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) მოხსნის ნაწილში ფუნქციური ზონის ცვლილებას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 28 ივლისის N0122209504 წერილით საპროექტო მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ქმნის

სატრანსპორტო ქვეზონის ერთიან ქსელს, რომლის შენარჩუნება მნიშვნელოვანია განსახილველ და მიმდებარე ტერიტორიაზე, სამომავლოდ, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით. შესაბამისად, სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური განსახილველი მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში ფუნქციური ზონის ცვლილებას, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმებას მიზანშეწონილად არ მიიჩნევს.

ამასთან, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 22 აგვისტოს N6/47266 წერილის შესაბამისად, სააგეტო არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს საპრივატიზებო ვალდებულებებით პრივატიზებული უძრავი ნივთის, კერძოდ, ქალაქ თბილისში, ალექსეევკას დასახლებაში არსებული 16340.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული N1, N2 (დანგრეული) და N3 (დანგრეული) შენობა-ნაგებობების (საკადასტრო კოდი 01.19.24.014.007) ფუნქციური ზონის, კერძოდ, სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

